

ს ი ე ნ ბ

ბათუმის
კომუნისტი



ნახ. მ. ვაღბოლსკისა

მაჰნებლების წაწევის წესები

„გერმანიის დაშლისტური გაწეობები წერენ, რომ წელს ევროპას უკრაინის პურის იმედი არ უნდა ჰქონდესო და თან აცხადებენ: „ის აზრი, თითქოს უკრაინა პურის ბეღელი იყოს, მოგონილი ამბავიაო“.

მაგნებლები მოელოდნენ
უკრაინის მწიფე პურებს,
დღეს კი უკვირთ მოსავალი
ქებას რომ ვერ იმსახურებს.

აძაგებენ უკრაინას,
მის მიწას და მხენელ-მთესველებს,
რადგან იგი პარაზიტებს
პურს საძღომად ვერ აშველებს.

12/11/42
5
99

„ამერიკის თეთრფრინავებში ერთდროულად დროს მოახდინეს პირველი ჯგუფური დაბომბვა პლოცეტის (რუმინეთი) ნავთის საარწარმოებისა და გერმანიის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთის ქალაქებისა“ გაზეთებიდან

ნახ. გ. ლოშინა

გაჭირვება და გაქცევა



ანტონესკა: — მიშველე ფიურერ, მიჭირს!
ჰიტლერი: მომხმარე ანტონესკა, მე უარეს დღეში ვარ!

ინფორმაცია

— ისე როგორ დავახვევებ, რომ მტრის ვერც ერთი ტანკი, შაშახანა, ქვეშენი, ან ავტომატი ვერ დააზიანეთ, ან რამდენიმე წითელარმიელი ვერ დაატყვევებ? — საყვედურით მიმართა შტაბში გამოცხადებულ დარცხენილ ზემდეგს გერმანელმა ოფიცერმა.
— როგორ მოხდა, კარგად აღარ მახსოვს. ახლაც თითქო ბურანში ვარ. დიდა... მაგონდება მგონი რაღაც მიხაკისფერი ავადფეთქეთ... არა კი არ ავადფეთქეთ, ალუა შემოვარტყით...
— შენ რა უქნით?
— აღარ ვიცი... დიას... როგორ არა... ხელში ჩავიგდეთ.
— შენ არ იცით ხელში რა ჩავიგდეთ?
— ვიცით... ხელში ჩავიგ... არა, ბოდიში, ჩავიგდეთ, როგორ არ ჩავიგდეთ. სამი ტანკი უნდა ყო-

ფილიყო, საბჭოთა ტანკი.
უფროსმა კმაყოფილება იგრძნო და რაღაც ჩაიწერა:
— კიდევ რა ჩავიგდეთ ხელში?
— არაფერი, შერი!
— გონს მოდი. მოიფიქრე... როგორ შეიძლება რომ ამისთანა ვაფთრებულ ბრძოლაში ხელში არაფერი ჩავიგდეთ. ფიურერს უნდა ვაცნობოთ ჩვენი ორი თვის ბრძოლის შედეგები.
— ხელში ჩავიგდეთ ერთი წითელარმიელი. ეს წარსულში იყო. საწვერავად წახსულიყო.
— გეშლება. ერთი მარტო არ იქნებოდა, სადაც ერთი ნახეთ, იქ მეორეც იქნებოდა.
— მართალია, იქნებოდა.

ოფიცერმა წიგნაკში ჩაიწერა:
ხელში ჩავიგდეთ ორი წითელარმიელი და 8 საბჭოთა ტანკი.
როცა ეს ციფრი ასეულის უფროსმა ნახა, არ მოეწონა და გაიფიქრა: „ვიცი ცრუობს, მაგრამ 2 კაცი და 8 ტანკის დასახელება სირცხვილიაო და მანაც ბატალიონის უფროსს ასე უპატაკა:
ხელთ ვიგდეთ 20 ტყვე წითელარმიელი და 6 ტანკი.
ბატალიონის უფროსმა პოლკის უფროსს იმავე მოხსენების საფუძველზე ასეთი პატაკი გაუგზავნა:
„ხელთ ვიგდეთ 200 ტყვე და 60 ტანკი“.
— სამოცი ტანკი რა არის! ჩემი პოლკის მეთაურებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს მოხსენებაში ციფრების გაიმსაქნებულად გამოყვანა: ექვსი რომ უკუღმა დაწერო 9 გამოვა. არც ორასს დააკლდება, რომ „შეცდომით“ ერთი ნოლი წაუშატო... — და მან დივიზიის უფროსს ასე უპატაკა:
„თქვენდამი რწმუნებული დივიზიის № ნაწილმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. ტყვედ წამოყვანილია 2000 წითელარმიელი და 90 ტანკი“. ამ მოხსენების საფუძველზე დივიზიის უფროსმა არმიის უფროსს ასე უპატაკა:
„ტყვედ წამოყვანილია 20.000 კაცი და 900 ტანკი“.

მეორე დღეს სიხარულით ფეხზე ვეღარ დგებოდა:
— საუცხოვო ციფრებია. მაგაზე ყოველგვარი ოპერაცია შეიძლება. რად არ ღირს თუნდაც ციფრი 2, რომლითაც „ტყვედ წამოყვანილი უნდა იყოს“ და ფეხს ზვეთ და ოცი ათასი ნაცვლად სამოცდაათი ათასს მიიღებ. ნოლ-გ. ი. თავს ქვევით უნდა და ფეხს ზვეთ და ოცი ათასი ნაცვლად სამოცდაათი ათასს მიიღებ. ჯერჯერ-საღ თუ წაუშატებ, თქვენი ჭირიმი გაჭირვების ტალღებსა ნოლზე, — მივიღებთ 700.000 კაცს. ჯერჯერობით საკმარისია.
და გებელსმა მორიგი ინფორმაცია ასეთი რედაქციით გადააცემინა:
„უვლასი ყველას! ყველას! წითელი არმია განადგურებულია, ერთერთ უბანზე ხელთ ვიგდეთ 700.000 ტყვე წითელარმიელი და 9000 ტანკი!
— როდეს ვათავდება ომი? — კითხულობენ ბერლინელი მოქალაქენი.
— გებელსს თუ დაუჯერებთ, ომი დამთავრებულია, მაგრამ მოწინააღმდეგის ქალაქზე განადგურება კი ომს მნიშვნელოვნად დააგვიანებს.
— მართალია. სამაგიეროდ ფიურერის დამარცხებას კი დააჩქარებს. — სკეპტიკურად ენაშურებინან ს. ისარკიპი
საკითხს ბერლინელები, მაგრამ ჩუმად, რომ „მიმღერის ყურებმა“ არ გაიგონან.

რით და როგორ ვხაერთ უაზრს (რუსულიდან)

მოგიწოდებთ, ვისაც გული მკერდში გიცემს და გიღელავს, დიდს, პატარას, ვაყებს ქალებს მოგიწოდებთ ყველას, ყველას.

ვცემოთ მტერს და ვცემოთ ისე, მოსვენება მას არ ჰქონდეს, თან ჩვენგანი ყოველგვარსა ბრძოლის ხერხებს უნდა ფლობდეს.

საქებია, საფარიდან ვინც დააყრის მტერს ყუმბარას, ვინც მას აქცივს ნაფლეთებად, დააყენებს მის სისხლს ღვარად,

საქებია, ვინც მტერს ესმის როგორც დღისით, ისე ღამით, დააწვიმებს ცეცხლის ტყვიებს, აუფეთქებს ტანკებს ნაღმით.

საქებია, ვინც ფაშისტებს ქეიფის დროს ხოცავს უკლებ, ცეცხლს უკიდებს იმათ ბუნაგს, ასეთებს ჩვენ ბრძოლას უქებთ...

საქებია ის მებრძოლიც, ვინც ფაშისტ მკველს მაგრად დასცხებს, თავს გაუსრესს შხამიან გველს და მიწაზე დაანარცხებს.

საქებია, ვისაც როგორ ბრძოლის ხერხი ემარჯვება, ოღონდ უნდა უზრუნველყოთ გერაც მტერზე გამარჯვება.

სანდრო

„ახალი მოსავლის“ აღება უაზისგების მიერ

„გერმანელი ფაშისტები ოცნებობდნენ მიმდინარე ზაფხულში ახალი მოსავლის აღებაზე მათ მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებში, მაგრამ მათ ეს მოლოდინი გაუქარწყლა წითელი არმიის მედგარმა დარტყმებმა.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა



ჩვენგან მომკილ-გალეწილი მოსავალი სურდა გულით, და ამიტომ ჩვენს მიწა-წყალს დაჭრა ტარი ვერაგული — და აქ, ჰიტლერს „მოსავალი“ მოვუმზადეთ ათასწილი —

ჩვენი ცეცხლით, ჩვენი ტყვიით, ჩვენი მკლავით გალეწილი. იღებს, მაგრამ არ ეღეფა, „მოსავალი“ წელსაც კვალად, — არც დაფულევთ, ვიდრე თვით მას არ გაფულეწით თავის ქალას.

გასკუეპული იბერი

იმედგაცრუებულმა ფინეთის მართველებმა ჰიტლერს განუცხადეს „ომის გაგრძელება აღარ შეგვიძლია, თუ არ დაგვეხმარებთ სეპერატულ ზავს დავდებთო“.

გაზეთებიდან

„თუმცა საბჭოეთის დაპყრობა არ არის ღომის ჭამა, და მასზე მართა ლაშქრობა იქნება ფუჭი, ამო. მაგრამ ცოტაა რეგენი?! ომში ჩავითრევ სხვასაო, დაე, წისქვილმა ჩამოფქვას და ვისაც რა სურს, თქვასაო“. ასე ფიქრობდა ადოლფი, თქვა: „უნდა ვცადო ბედით, ბრიყვ მანერპაიმს მიმართა: „ხომ გიყვარს შენ ფინეთო? მე მას მთელ ქვეყნებს შეგებებ, როს გავიმარჯვებ მერეო, ოღონდ წითლებთან ომისთვის ჯარები მომაშველეო, მოტყუდნენ მაცდურ ანკესით, დოგლათიც გამოიღია

და გესლად იქცა ადოლფის დაპირებები ტკბილია. გამარჯვებების იმედნი გაქრნენ ვით ქარნი ზენანი და სიშურისაგან ამქრებმა დაიწყეს თითზე კბენანი: „ეს რა მახეში გავებით, ადოლფმა გვიყო რაც არი, წითლებთან ბრძოლას გვერჩია სახლში გვექეპა ნაცარი“. ემუქრებიან „ფიურერს“: ომმა მოგვწყვიტა წელიო და თუ არ დაგვეხმარები ჩვენგან ომს ნულარ ელიო, დადის ადოლფ და თვის ამქრებს ამოღ ემუდარება, რომ მას მიენდონ „ნისიად“, მიიყვანს ზედის კარებთან.

არიული რასის თეორია: — ფაშისტური ავადმყოფობა, ანუ ცოფის ანალოგი სახე, რომელიც ებიდემიურად გავრცელდა ჰიტლერის გერმანიაში. ამ ავადმყოფობის დამახასიათებელი სიმპტომებია — უაზრო ბოდვა სიტყვებით: „ჩემივე ჩემია და სხვისიც ჩემია“. მეცნიერების განმარტებით მცნება „არიული რასის თეორიის“ ძირი — წარმოსდგება სიტყვა არეულიდან, რაც იქიდანაც სჩანს, რომ ჰიტლერულ გერმანიას მთლიანად არეული აქვს ტვინიც და გზა-კვალიც.

ახალი წესრიგი — ჩვეულებრივი მნიშვნელობით სამი სიტყვისაგან შედგენილი ფრაზა, რომელიც ლაპარაკობს წესრიგის შესახებ.

ახალ გერმანულ ენაზე კი „ახალი წესრიგი“ ნიშნავს ევროპის ქვეყნების სახრობელებით მოფენას, მოსახლეობის შიმშილით ამოხოცვას, კონცებანაკების და ხალხის სისხლით გაძლომას, რასაც საბოლოო ანგარიშში სისხლითგამაძლართა გასკლომა უნდა მოჰყვებ.

ბლიც-კრიგი — ჯაგლაგი ჯორი, რომელზედაც დონ-კიხოტის მიბადებით, ერთი წლის წინათ შეგდა ჰიტლერი და გაემართა სამყაროს დასაპყრობად. როგორც ვიცი, საბჭოთა მიწაზე ფენის დადგმისთანავე ეს ჯორი წაიქცა და თავისი მხედარი ისე მაგრა დაჩეხა, რომ იგი კისერმოტეხილი და წელმოწყვეტილი კვლავ ცდილობს წამოდგომას, მაგრამ ამას ცლა გამოუღდის.

გეგმა მოქმედების, ან მშენებლობის წინასწარ გამოანგარიშებული და შედგენილი ფორმა, რომელიც ჩვეულებრივი განხორციელების შედეგად იძლევა ნაყოფს, წარმატებას. ამ მცნებაში ადოლფ ჰიტლერმა შეიტანა ახალი დამატება: მაგალითად, მისი „გეგმა ქვეყნიერების დაპყრობისა“ — ნიშნავს სისულელეს, გეგმა „გერმანიის არმიის საზამთრო შეტევისა“ — უკან დახევას, და ასე შემდეგ.

დივიზია — ჰიტლერის არმიის მეტად ცვალებადი ერთეული, რომელიც საბჭოთა კავშირის ფრონტზე გამოგზავნამდე, ჩვეულებრივ 15000 კაცს ითვლის, ხოლო წითელ არმიასთან პირველი შეხვედრის შემდეგ, მისი პირადი შემადგენლობის რიცხვი ჩამოდის საშუალოდ 10 — 15 კაცამდე.

ერზაცი — შემცვლელი. ფაშისტურ გერმანიაში ყოველგვარმა შემცვლელმა ფართო გამოყენება ჰპოვა. მაგალითად, საცვლები მზადდება შუშისაგან, პური — ნახერხისა და ჩალისაგან, გენერალისიმუსი (ანუ მთავარსარდალი) — ეფერეიტორისაგან (ჰიტლერი) და სხვ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ფაშისტური სარდლობა ძლიერ უხეზად სცვლის ბრძოლის ველზე გამარჯვებას — ქალაქების „გამარჯვების“ გავრცელებით. ქალაქის უჭონლობის შემთხვევაში, ფაშისტები ცნობებს მათი „გამარჯვების“ შესახებ — გამოიწოვენ ხოლმე თითებიდან.

რკინის ჯვრები — გერმანული სამხედრო წარჩინების ნიშანი, რომლებითაც წინად ჰიტლერელი ჯარისკაცები მიკრდნენ იმშვენებდნენ. საბჭოთა კავშირთან ომის პერიოდში რკინის ჯვრები ოკუპანტების საფლავებს ამშვენებდნენ. რადგან წითელმა არმიამ სწრაფად გაზარდა ფაშისტ დამპყრობთა საფლავებზე ჯვრების მოთხოვნილება, რკინის ჯვრების შეცვლა წარმატებით ხდება — ხის ჯვრებით.

ნახ. დონისა




1. ეს ფინელი „ბანოვანი“ იყო ჰანსის მოტრფიალი. იგი ნაზად თვალს ნაბავდა, როს პრაწავდა ჰანსი თვალღებს.



2. თავბედურმა დაბირებამ „ბანოვანი“ დაარტყა: მიიწვია ჰანსი სახლში მისთვის ხარჯი გაიმეტა.



3. ჰანსმა კარგად იქეიფა დააყოლა ზედაც ყავა; შემდეგ თავის მასპინძელი მთლად გაშქურდა, გაატყავა.



4. ქურდმა აღარ შეარჩინა არც საჭმელი, არც სასმელი, კაბაც აღარ დაუტოვა, ტიტველ ტანზე ჩახაცმელი.

305 აკის?

„ვიშის მთავრობა აფრიკაში მყოფ გერმანიის ჯარებს ამარაგებს.“
გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ფიურერის მასხარა, ჯოჯო, ქვეწარმავალი, ვითომ ეგეც კაცია, — საზიზღარი.....

ასეთები ფრანგ ხალხში არ იქნება მრავალი, თავის ქვეყნის ჯალათი, გამყიდველი.....

ფიურერთან ლაქუციით ნახა „გამოსავალი“ თავის ხალხსაც არ ინდობს გაიძვერა.....

მაგრამ დრო არ გასულა, მალე იგი მტარვალი, ვერსად წავა, მიიღებს, — სასტიკ სასჯელს.....

შაქროს „კუჩოსევა“

შაქრო ისევ ჩეხი დივიზიის მზვერავთა ჯგუფში განაგრძობდა სამსახურს. მე მაშინ უფროს მზვერავად ვითვლებოდი.

ჩვენ ისე დავმეგობრდით, რომ ცალცალკე ყოფნა და სამსახური ვერც კი წარმოგვედგინა. „სადაც შენ — იქაც მე“ — მეტყოდა ხოლმე იგი.

მე კი წინანდელ შეხედულებას ვადეძი და ვფიქრობდი, რომ შაქრო მეტროლ მზვერავად გამოდგებოდა.

მას ამის მოსმენაც კი არ უნდოდა, — მხოლოდ ხანდახან თუ გადაკვრით ვეტყოდი ხოლმე: — ყველა ჩვენგანი თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო ხომ ასეა შაქრო?

— ასეა, მაშა, — მიპასუხებდა იგი და ისეთი გამომეტყველებით შემომხედავდა, რომ ბული ვიყავი სხვა თემაზე დამეწყო ლაპარაკი.

ერთხელ ჩვენი ჯგუფის უფროსსაც მოგახსენე: — ამხანაგო უფროსო! მზვერავ შაქრო გულალაურის შესახებ მოგახსენებთ, ჩემის აზრით შეწონილი იქნებოდა სხვა ნაწილში მისი გადაყვანა.

— მიზეზი? — შემეკითხა უფროსი. — ფიქრობ, მას ისეთი თვისებები არ აბაღია, რომ მზვერავად გამოდგეს.

— სახელდობრ, რა თვისებებს გულისხმობთ? — ჩემის აზრით, უმთავრესად მას აკლია მოხერხებულობა და მოქნილობა, უფროსს გაეღიმა.

— ყოჩაღ, კარგად შეგიმჩნევია, მეც ასე მგონია. სხვა მისი თვისებების შესახებ რაღას იტყვი? — იშვიათი ყმაწვილია, — ნამდვილი ბოლშევიკი, შეუბოვარი და მამაცი, — ფიზიკურადაც ძალიან კარგად ხელს იერ მოჰკიდობს.



— ფრაუ მილერ! რომელ ფირფიტას აღ-
გამო რაღი ოპატეფონზე? ეს ხომ გებელსის
შარშანდელი სიტყვაა.
— რა განსხვავებაა მისი სიტყვა ხომ მუ-
დამ ერთნაირი შინაარსისაა.

გეგანაღთა „მოშენება“

„მგრედწოდებულმა ფაშისტურმა
„ქალთა ფრონტმა“ გერმანიაში დაარ-
სა ქალთა კლუბები, რომლებიც არსე-
ბითად მაქანკობის კერებს წარმოად-
გენენ“.

გაუთეებიდან

შიტლერი თავის მასხარებს,
გენერლებს „არიელებსა“,
უბრძანებს: „უნდა ყოველდღე
სისხლში ისვრიდეთ ხელებსა!

შორს ვულჩვილობა ურგები,
შხამს გქონდეთ გული ქვისაო,
არ შეებრალოთ ხალხები
არც ჩენი არცა სხვისაო.

თქვენ ნუ შედრკებით მოშინეთ
ცხედრებით მთა და ველები,
თუნდაც სულ გაწყდეს მოზრდილს
თაობა გერმანელების.

მე მზად მაქვს გეგმა ახალი
„გერმანელთ მოშენებისა“,
ხელსაც ვერაგინ შემიშლის,
წინ ვერვინ დამიდგებისა,

მსურს მოვხზო ძველი ადათი
ცოლობისა და ქმრობისა,—
დავრილდეს ქალი ყოველი
ვის უნარი აქვს შობისა.

მე ახალ „მორალს“ ვაწესებ,
მასში ცულხ აბა ვინ შპოებს,
ვბრძანებ კლუბები დაერქვას
წინანდელ ხაროკიპოებს.

— ყოჩაღ, ესეც კარგად შეგიძინეგია, — ღიმილით მითხრა უფროსმა და დაუმატა:
— ჩემის აზრით, შაქრო გულდაღური მანც ჩვენთან უნდა დარჩეს. შეუძლებელია მას არ გააჩნ-
დეს ის თვისებებიც, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვიძინეგია. გამოვცადოთ, ვასწავლოთ, დავე-
ხმაროთ!!! — დამაჯერებელი ტონით მითხრა უფროსმა.
— არის! გამოვცადოთ, ვასწავლოთ, დავეხმაროთ! — მხედრულად განვიმეორე უფროსის ნათქვამი.
რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს ჯგუფს დავალება მიეცა ერთერთ უახლოეს მაღლობზე მტრის
ცეცხლის წერტილებს დაეხვეწა. დამდებოდა, როცა სანჯრებიდან გამოვედით და გზას გაუღდექით.
წინ ჯგუფის უფროსი მიგვიძღვოდა. შაქრო გვერდით მოწყებოდა, ზამთარი იყო და ფეხქვეშ
თოვლის ხრამუნნი გაისმოდა. ყველას თეთრი ხალათები გვეცემა.
შუალამე გადავიდა. მაღლობს მივუახლოვდით. მთვარემ ოდნავ გამოანათა. უფროსმა ნიშანი მოგ-
ვცა და თოვლს გავეკარით. მან დავალებზე გაგვინაწილა. სამი მზვერავი წინ უნდა წასულიყო, თანაც
შაქრატლები უნდა წაეღოთ. ისინი მავთულხლართებთან მიხიხდებოდნენ, რომლებიც მაღლობს გარს
შემორტყმოდა, მავთულებს დასჭრიდნენ, შესასვლელებს გააკეთებდნენ და უკანე გამობრუნდებოდნენ.
დასახლებულ მზვერავებს შორის შაქროც იყო. ერთი მათგანი უფროსმა ხელმძღვანელად დანიშნა.
დაგრჩით მე და უფროსი და კიდევ ორი მზვერავი, რომლებმაც უფროსისაგან სათანადო დავალე-
ბები მიიღეს.
— აი დედასა, ნეტავი შენც ჩვენთან მოხვიდოდე! — ჩემი მისამართით ჩაილაპარაკა შაქრომ.
— განა თქვენთან არა ვარ? აბა, შენ იცი შაქრო, არ შემარცხვინო ბიჭო! — უთხარი მეგო-
ბარს, რომელიც მძიმე დავალების შესასრულებლად მიდიოდა.
— ჩემი იმედი გქონდეს! — სთქვა მან და მზვერავები სიბნელეში გაქრნენ.
ლამის მყუდროება სროლამ დაარღვია. ჯერ ავტომატებიდან ისროდნენ, შემდეგ კი ტყვიამფრქვე-
ვის კაცანი გაისმა.
— ალბად ჩვენი ბიჭები შენიშნეს და სროლა აუტყვეს. — ჩურჩულით მითხრა უფროსმა.
ტყის სიჩუმე დაჭრილთა კვნესამ დაარღვია.
დაჭრილი მზვერავები შაქროს ცეცხლის რაკლიდან ზურგით გამოეყვანა და ჩვენსკენ მოყვანდა.
წამსვე მათკენ გავეშურეთ. ერთი მათგანი მძიმედ იყო დაჭრილი. დაჭრილებს ჭრილობები შევეუხვით.
შაქრო უფროსის წინაშე წარსდგა და მოახსენა:
— ამხანაგო უფროსო! თქვენი დავალება ვერ შევასრულეთ. როცა იმ ვერან მავთულებს ვჭრი-
დით, თურმე იმ წყვეულ ფაშისტებს შეუშინეგიათ, პო და, პირდაპირ ნიშანში ამოუღვივართ... მერე,
ისე გვესროდნენ, ისე რომ ასე გვეგონებოდათ თუნუქის სახურავზე სეტყვა მოდისო. ჩვენი ბიჭები მავ-
თულების ჭრას განაგრძობდნენ, სანამ მათ ხელიდან მაკრატლები არ გაუფარდათ. მაშინ კი ვიკისრე
მათი ზურგზე მოკიდებდა.
უფროსმა ბრძანება გასცა დაჭრილ მზვერავებს საექიმო პუნქტში გაგზავნის შესახებ.
უფროსი სწუხდა, რომ მავთულხლართების დაჭრა შეუსრულებელი რჩებოდა. შაქრომ მიმართა:
— ნება მომეცით ამხანაგო უფროსო, შეუსრულებელი დავალება მე შევასრულო.
— როგორ? რას ამბობ? მარტო შენ? — გაიკვირვა უფროსმა.
— გაძღვეთ სიტყვას დავალებას ზუსტად შევასრულებ!
— შეუძლებელია! — კატეგორიულად სთქვა უფროსმა.
მაშინ მეც მივმართე უფროსს და ვთხოვე მე და შაქრო გავეგზავნეთ.
შაქრო წინააღმდეგე იყო. იგი თხოულობდა მარტო მის გაგზავნას.
— სხვა არ მჭირდება, ხელს შემიშლის, — ამბობდა იგი. — მხოლოდ, ამხანაგო უფროსო, ნება მო-
მეცით თან წავიღო გრძელი თოკი.
— თოკი? — გაოცებით შევეკითხეთ მას,
— დიახ თოკი! — და მან გაგვიზიარა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებდა
იგი მას მავთულების ჭრის დროს.
— ყოჩაღ! — შეაქო უფროსმა შაქრო და ნება მისცა წასულიყო დავალების შესასრულებლად.
შაქრომ მაკრატელს და თოკს ხელი დასტაცა, ავტომატითა და ხელყუმბართი შეიარაღდა და ხონ-
ვით წინ გასწია. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ სროლა ატყდა, რომელიც ხანგამოშვებით ისმოდა
ხლომე. დრო გადიოდა და შაქრო არ სჩანდა.
— „ალბათ მოჰკლეს“ — გავიფიქრე და გულისტკივილი გვირმენი.
— რა ყმაწვილი დავკარგეთ! — ჩაილაპარაკა უფროსმა. ცხადი იყო იგიც შაქროზე ფიქრობდა-
ყური მოგვარის შრიალს. შორიახლოს რაღაც მოძრაობდა.
— ამხანაგო უფროსო, მგონი ვიღაც მოსჩანს! — და წინ ხელი გავიშვირე.
— დიახ, რაღაც მოძრაობს. მზად ვიყოთ, ეგებ მტრის მზვერავებია! — გამფრთხილა უფროსმა
და ხელყუმბარები მოვიმარჯვეთ.
მოძრავე საგანი ახლოვდებოდა.
— ბიჭოს, ეგ ჩვენი შაქროა! — ერთად წამოვიძახეთ ჩვენ.
შაქრო უკვე ჩვენს წინ იდგა და თვალები უცინოდა.
— დავალება შესრულებულია, ამხანაგო უფროსო! — უპატაკა მან უფროსს, რომელმაც მაღლობის
წინააღმდეგ ხელი მაგრად ჩამოართვა.
— ცოცხალი ხარ ბიჭო?! — შევეკითხე მას და მოვეხვეყე.
— ცოცხალი ვარ, მაშა, — აბა მკვდარს პირბაღლი ფაშისტები აქ ხომ არ მომასვენებდნენ?
ჩვენ უკან ვბრუნდებოდით. გზაში შაქრომ გვიამბო, როგორ მოატყუა მან თოკის საშუალებით
მტრის გულშეგები. როცა მავთულხლართთან ხოხვით მისულიყო, მავთულზე ბარი ჩამოეკიდა, ბარის სა-
ხელურისთვის თოკი მიება და მავთულხლართის გასწვრივ განხიხებულიყო იქამდე, სანამ თოკის
ბოლო წვდებოდა. იქ კი დაეწყო მავთულების ჭრა. რომ მტრის გულშეგებისთვის თვალები ახვია,
თოკს ფეხს გაკრავდა თურმე და მავთულზე ჩამოკიდებული ბარი დაიწყოება ქანაობას, მავთულები
კი გამოსცემდნენ ყრუ ხმაურს. გულშეგებიც ფიქრობდნენ, რომ მავთულებს სწორედ იმ ადგილას ჭრიდ-
ნენ, სადაც ბარი ქანაობდა და ისინიც იმ მიმართულებით ისროდნენ. შაქრო კი არხინად განაგრძობდა
თურმე ალესილ მაკრატლით მავთულების ჭრას. უზომოდ მახარებდა შაქროში იმ თვისების გამომუდგე-
ნება, რომელსაც წინად ვერ ვამჩნევდი. როცა საექიმო პუნქტს მივუახლოვდით, შაქრომ შემაჩერა და
ჩუმად მითხრა:
— იცი, კაკაბო, უკვე დღეიდან ნაკურთხი ვარ. ბრძოლაში ნაკურთხი, გესმის?
— რაო? რის ნაკურთხი? — გაოცებით შევეკითხე მას.
— ისე რაღა. ცოტა გამკაწრეს.
— რაო, დაჭრილი ხარ? — დავუყვირე მას.
— ვა, მე დამჭრეს — შენ ყვირი?... — და მან მთხოვა ამის შესახებ უფროსისთვის არაფერი
მეთქვა.
— თვუ, რა კაცი ყოფილხარ. ვეტყვი კი არა, დასასჯელი ხარ! — ვუსაყვედურე მას და მკლავ-
ზე ხელი მოვიკიდე.
— ჩქარა, ახლავე ვუჩვენოთ ექიმს.
ჯგუფის უფროსმა მაშინ გაიგო შაქროს დაჭრა, როცა ექიმი ჭრილობას უხვევდა მას.
— ეჭვ, ეს რა დავმართია ყმაწვილო? — შევეკითხა უფროსი.
— არაფერია, ამხანაგო უფროსო, ისე რაღა, ცოტა გამკაწრეს. არა უშავს, დღეიდან „ნაკურთხი“
გახლავართ, „ნაკურთხი“ — სიცილით ამბობდა შაქრო.

ტყვედ წამოყვანილ ფაშისტებს
გზა დაეკეტათ სავალი,
ეხლა მრავალმა დაღერდა,
თავის თავგადასავალი.

ფრიცმა სთქვა: არსად მინახავს
ბრძოლები ამდაგვარიო,
პოლკში ათასზე მეტი გვყავს
დაჭრილები და მკვდარიო.

დღედაღამ სიკვდილს ველოდით,
არ გვასვენებდნენ წამითა,
პარტიზანები გვესხმოდნენ
თავზე დღისით და ღამითა.

გოტფრიდმა მთელ რიგ ბრძოლებში
შინარჩუნა სულია,
ცხრა პოლკი გამოიცვალა,
თექვსმეტი ასეულა.

პარიზში რომ მიდიოდა
ფართოდ აღგამდა ნაბიჯებს,
რუსეთის ფრონტზე ასობით
გამოეთხოვა ძმა-ბიჭებს.

ლ. ძნელაძე

არ დააცემინო!

№ ნაწილში იყო ერთი მებრძოლი, რომელსაც უცნაური რაღაც ემართებოდა: როგორც კი ცოტა ნიავე მოხვდებოდა, ან ნესტიან ადგილას გაჩერდებოდა, მაშინვე ცხვირ-ცემინება აუტყდებოდა.

როცა გუნდი მიდიოდა დავალების შესასრულებლად — ყველას ერთ საერთო ბრძანებას აძლევდნენ, მაგრამ იმ მებრძოლს კი დამატებით აფრთხილებდნენ:

— არ დააცემინო!
— არის არ დააცემინო! — უპასუხებდა მებრძოლი,
ამის გამო იმ მებრძოლს, მეგობრული ხუმრობით, მგტასხლად შეარქვეს „არდაცემინო“.

ერთხელ ქვედანაყოფმა ჩაატარა ოპერაცია: გარს შემოფრტყნენ ფაშისტების შტაბს და ისე უეცრად დაიჭირეს სოფელი, რომ გერმანელებმა მარგლების ჩაცმაც კი ვერ მოასწრეს, ვინც როგორ იყო ისე გარბოდა.

ბრძოლა როცა მიწყნარდა, სერჟანტი რამდენიმე მებრძოლის თანხლებით, რომელთა შორის „არდაცემინოც“ იყო, შევიდნენ ერთ სოფელში.

ხედავენ, რომ სუფრა გაშლილია, კერძები გამწადებულა.

— ეჰ, რა საუცხოვოა!

— ყველაფერი მზადაა, ჭამის მეტი აღარაფერი აკლია.

მებრძოლნი სუფრას მოუსხდნენ. წარმოსადგენია რა სასიამოვნოა დადლილ მებრძოლთათვის მზამზარეული სადილი.

— გაისმა სერჟანტის ხმა:

— მოუსხედით სუფრას! — და თანვე სიცილით დაუმატა — არ დააცემინო, არ დააცემინო!

ყველა მზარულ გუნებაზე დადგა და ის იყო დაიწყეს ჭამა, რომ უცებ გაისმა ცხვირის დაცემინება.

— არ დააცემინო! — ერთხმად შესახეს მებრძოლებმა, — ბრძანება იყო და შენ კი არ ასრულებ!

არდაცემინო კი იჯდა შემცბარი და სდუმდა.

განაგრძეს ჭამა. უცებ ისევ გაისმა:

— ჰაჰაჰა!

ამან კიდევ უფრო გაამზიარულა მებრძოლები.

— დააცემინე! დარდი ნუ გაქვს, არდაცემინო!

მას კი ისევ შერცხვა და ხმადაბლად სთქვა:

— მე, ამხანაგებო, არც დამიცემინებია!

ამ დროს კიდევ გაისმა:

— ჰაჰაჰა!

ახლა კი არდაცემინო ზეზე წამოხტა, სახეზე შეწითლდა, შაშხანას ხელი

ატაცა, სერიოზულად სთქვა:

— ამხანაგო სერჟანტო, ნება მიბოძე მოგახსენოთ: მე არ დამიცემინებია და ის გაფართოებული თვალებით ირგვლივ ყველაფერს ათვალთვლიდა შემდეგ იატაკს დააქერდა და ნიშანი მისცა სხვებს.

უცებ წამოცვივდნენ მებრძოლები. შაშხანებით ხელში გამოვიდნენ და სახლს ალყა შემოარტყეს.

სერჟანტი ეუბნება არდაცემინოს:

— თქვენ, ამხანაგო მებრძოლო, ჩემთან ერთად შემოხვალთ სახლში.

არდაცემინო კი ეუბნება:

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო სერჟანტო, რამდენადაც აქ საქმე გვაქვს ცხვირ-ცემინებასთან, ეს ჩემი სპეციალობაა, მე მარტო შევალ.

— კარგი! — უთხრა სერჟანტმა. — შევიდით!

ცოტა ხნის შემდეგ ისინი გამოვიდნენ სახლიდან და... და ორი გერმანელი შეავტომატე გამოიყვანეს. როგორც გამოირკვა ფაშისტები სარდაფში დამალულიყვნენ. უნდოდათ თავი გადაერჩინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

— აღვიღო გასაგებია, — ამობოლა არდაცემინო მკოდენ პირის ტონით. — ჩემი მტერი ეს ავაზაკები ნესტიან სარდაფში და... ჰაჰაჰა!

და არდაცემინომ ისე მაგრად დააცემინა, რომ ყველას ეჭვი შეეპარა, ისარგებლა შემთხვევითო.

სერჟანტმა ბრძანება მისცა არდაცემინოს:

— წაიყვანე ტყვეები ნაწილის მეთაურთან!

— არის წაიყვანო ტყვეები ნაწილის მეთაურთან! — უპასუხა არდაცემინომ.

და გერმანელებს შესახა:

— წინ, ნაბიჯით იარ!

და როცა მებრძოლების წინ ჩაატარა ტყვეები, ეშმაკურად ჩაუტრა თვალი ბიჭებს და დასძინა:

— არ დააცემინო!

ნ. ალაბუფიძე
ჟიურის ლეიტენანტი



ფაშისტი პოლკოვნიკი (ფაშისტი ჟურნალისტი): — ასე ჩასწერეთ: ჩვენს მიერ ოკუპირებულ ოლქების მოსახლეობა ფეხქვეშ ფიანდაზად გვეფინება.

ურცთის გაუთავიდან

გონებასხვილი მოვაზარი

ნორვეგიის ერთ-ერთ ქალაქის ქუჩაში დადიოდა თევზით ხელზე მოვაჭრე და გაიძახოდა:

— ქაშაყი, ქაშაყი გერიგვიტ მსუქანი ქაშაყი („გერინგ“ გერმანულ ენაზე ჰქვია დამარილებულ ქაშაყს).

გესტაპომ დააპატიმრა მოვაჭრე. მან ორი კვირა დაჰყო საპატიმროში და როცა გაათავისუფლეს, ისევ გამოვიდა ქუჩაში თევზებით და წინანდელზე უფრო ხმამაღლა დაიწყო ძახილი:

— ქაშაყი, ქაშაყი ისეთივე მსუქანი, როგორც ამ ორი კვირის წინად. („საბჭოთა პატრიოტი“)

ბრძენი და ფიურერი

ფიურერი: — სთქვი, ბრძენო: რით უნდა ავხსნათ, რომ რუსებმა დამარცხეს გერმანელები ჩუდის ტახთან?

ბრძენი: — შემთხვევაა, ბატონო ფიურერო.

ფიურერი: — 1918 წელს, რომ რუსებმა მაგრად დასცხეს გერმანელებს?

ბრძენი: — უბედური შემთხვევაა, ბატონო ფიურერო.

ფიურერი: — მაგრამ, ესლაც რომ მაგრად გვერტყამენ, ამას რიდათი ხსნი?

ბრძენი: — ჩვეულებაა, ბატონო ფიურერო.

არაკეთილსამიჯლო პირი

— რისთვის გადასცეს სასამართლოს ჯარისკაცი ფრიცბანდი?
— ის საბოლოოდ გაიხრწნა. ხამი დღის განმავლობაში არ მოუკლავს არც ერთი გლეხი, არავინ გაუძარცვავს და წარმოიდგინე ბავშვებიც კი დაუხოვავს...


(„სტალინილი“)

9994

მ რ ი პ ო ლ ე ს ი

ფაშინტესს, ცოცხალი შალის შემოღების გამო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მებრძოლებსა და მათი მშობლებს მიპყავთ ბავშვები და ინვალიდები.

ნახ. ელ. მაყაშვილია



— ჩემი უფროსი თოთხმეტი წლის იყო და ფიურერმა ფრონტზე გაგზავნა. ნეტავ მოხუცი მაინც ყოფილიყო: გადარჩებოდა.



— ჩემი შანსი სამოცდაათხმეტი წლის იყო და ფიურერმა ფრონტზე გაგზავნა. ნეტავი ბავშვი მაინც ყოფილიყო: გადარჩებოდა.

ე ლ ვ ე

ახალი შრომა

ანკარა. პროკურორმა იგრეკ-ეფენდიმ გამოსცა ახალი წიგნი— სახელმძღვანელო ანკარელ პროკურორებისათვის, რომელსაც სათაურად აქვს: ათას ერთი ზღაპარი ბრძენის შეხერხადასი და მათი მნიშვნელობა საბრალმდებლო დასკვნის დასაბუთების დროს. გადაბეჭდვა და მიბაძვა ავტორის ნებადაურთველად აკრძალულია.

ჰიმლერის კინო-სცენარი

ბერლინი. ჰიმლერმა დასწერა და გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს გადასცა ახალი კინოსცენარი, რომელშიც მთაჯარ მომქმედ პირებად გამოყვანილია ზორტი და ანტონესკო. კინოსცენარს სახელად ეწოდება: „ძიბგი, ძიბგი, მამალაო, შენ იცი და მაგანაო“.

ბ ა ზ რ ო ბ ა

პარიზი. ვიშუი იმართება დიდი ბაზრობა. ბაზრობაზე გამოყვანილია სხვადასხვა სახის მუშა-ხელი. ვაჭრობას აწარმოებენ პეტენი და ლავალი.

დახარალებული



შერმან. ჯარისკაცი — რამ დავაღონა ფრიც, ვერაფერი ნახე სოფელში გასაქურდავი?

— რაღას ვნახავდი, როდესაც ჩემს მისვლამდი იმავე სოფელში ჩვენი ფარის სხვა ნაწილები უნახავო.



— რის გეშინიათ ბატონო პოლკოვნიკო?.. ნუ თუ თქვენც წაიკითხეთ, რომ ინგლისელი მოქალაქენი მეორე ფრონტის დაუყოფ-
ნებლივ გახსნას მოითხოვენს..